

ოქმი N2
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2019 წელი, 25 იანვარი
 ქ. ოზურგეთი
 14⁰⁰ -15⁰⁰საათი

თავმჯდომარეობდა: ლ.ბიგვავა - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიათა წევრები: გ. მდინარაძე, ვლ. ლლონტი, თ.ტულუში, გ.ჩავლეშვილი, ვლ.ჩავლეშვილი, ლ.მგელაძე, ლ.კილაძე, ტ.აროშიძე, ბ.ნიჟარაძე, ლ.საჯაია, ლ.კილაძე, ბ.თოიძე.

საკრებულოს წევრები-მ.ჩხიკვიშვილი და გ.ჩაგანავა.

სხდომის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.კომისიასთან არსებულ საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობის ცვლილებისა და სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხს:ლ.ბიგვავა

2.სოფელ ჭანიეთის ცენტრში პარკისა და მინი სტადიონის მოწყობის თაობაზე მოსახლეობის მომართვის შესახებ.

მომხს:ლ.ბიგვავა

3.ოზურგეთი-ანასეულის ტერიტორიაზე დენდროლოგიური პარკის მოწყობის თაობაზე მოსახლეობის განცხადების შესახებ.

მომხს:ლ.ბიგვავა

4.ქ.ოზურგეთში გ.სალუქვაძის სახელობის ქუჩის რეაბილიტაციის თაობაზე მოსახლეობის მომართვის შესახებ.

მომხს:ლ.ბიგვავა

5.ქ.ოზურგეთში რუსთაველის ქუჩაზე საგზაო მოძრაობის მოწესრიგების თაობაზე მოსახლეობის მომართვის შესახებ.

მომხს:ლ.ბიგვავა

მომხსენებელმა მოკლედ ისაუბრა კომისიასთან არსებულ საკონსულტაციო საბჭოში შემადგენლობაში შესატან ცვლილებებზე და სამუშაო გეგმაზე, კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი როგორც შემადგენლობის ცვლილებებს, ასევე სამუშაო გეგმასაც.

კომისიის წვრები ასევე დაეთანხმნენ სოფელ ჭანიეთის ცენტრში პარკისა და მინი სტადიონის აშენების წინადადებას, ანასეულის ტერიტორიაზე დასასვენებელი პარკის მოწყობას, რადგან დენდროლოგიური პარკის მოწყობა გაცილებით რთულია, ქ.ოზურგეთში რუსთაველის ქუჩაზე საგზაო მოძრაობის მოწესრიგებას, მხარი იქნა დაჭერილი ქ.ოზურგეთში გ.სალუქვაძის სახელობის ქუჩის რეაბილიტაციის წინადადებას, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოძიებული თანხებით უნდა განხორციელდეს, წინა სამი კი მთავრობის მიერ გამოყოფილი სპეც ტრანსფერით და საქველმოქმედო ფონდის ხარჯზე მოეწყობა.

საკითხების გნხილვის დასრულების შემდეგ საკრებულოს წევრმა მ.ჩხიკვიშვილმა გამოთქვა აზრი პარკირების საქმეში არსებულ ხარვეზებზე.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს კომისიის მიერ მომზადებული დასკვნები (თან ერთვის) სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე და მხარდაჭერილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ოფიციალურად ეცნობოს მუნიციპალიტეტის მერიას.

ლავრენტი ბიგვავა



კომისიის თავმჯდომარე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია